

შპს „ტექნოჰელფი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31
დეკემბერს



Handwritten signature in blue ink, appearing to read 'J. ჯაფარიძე'.

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

3

სრული შემოსავლის ანგარიშგება

4

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6



ბ. ვაშ

შპს "ტექნოჰელფი"

ფინანსური ანგარიშგება 2021 წ 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.19	31.12.2021
ფულადი სახსრები	3	163277	16267	109 993
სასაქონლო მატერიალური მარაგები	4	2,248,966	1 695 587	2 473 345
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	578,265	646 631	283 914
საპენსიო			1754	-
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადი			20923	0
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		65,430	218 891	26 993
ძირითადი საშუალებები	6	33,015	34914	67 563
არამატერიალური აქტივები	7	2,184	1143	6 684
სულ აქტივები:		3,091,137	2 636 110	2 968 492
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		581,564	167 789	60 525
გადასახდელი ხელფასი		0	7263	0
სასესხო ვალდებულებები	8	929,244	1 427 347	878 479
სხვა ვალდებულებები				2 570
სულ ვალდებულებები	9	1 510 808	1 602 399	941 574
გაუნაწილებელი მოგება	9	1,580,329	1 033 711	2 026 918
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		3,091,137	2 636 110	2 968 492

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



/ზაიალ ფირიევი/

/მარიამ ფარესაშვილი/

6-15 გვერდზე თანდართული მენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "ტექნოჰელპი"

ფინანსური ანგარიშგება 2021 წ 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2021
ნეტო ამონაგები	10	2,623,463	3 712 548
საქონლის გაყიდვიდან		2,623,463	3 712 548
სხვა			-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(-1,599,694)	(-2 360 729)
საერთო მოგება		1,023,769	1 351 819
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	(-203,940)	(-326 459)
ცვტა და ამორტიზაცია	11	(-6,585)	(5532)
საპროცენტო ხარჯი		(-101,936)	(-45 070)
იჯარის ხარჯი	11	(-96,430)	(-23 000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(-96,884)	(-90 019)
სულ საოპერაციო ხარჯები		(-505,775)	(-490 080)
საოპერაციო მოგება		517,994	861 739
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		28624	-
მიღებული დივიდენდები			-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან			-
მოგების გადასახადი			-
მოგება/(ზარალი)		546,618	861 739

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

/ზაიალ ფირიევი/

მთ. ბუღალტერი:

/მარიამ ფარესაშვილი/



6-15 გვერდზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ტექნოპელფი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წ 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

31/12/2021

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი 31.12.2020)		1 580 329
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(-371 517)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(-43 633)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2 026 918

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

/ზაიალ ფირიევი/

მთ. ბუღალტერი:

/მარიამ ფარესაშვილი/

6-15 გვერდზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი: 10.08.2016.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 426529508,

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო.

დამფუძნებელი - ხაიალ ფირიევი, პ/ნ:12001005007 - წილი კომპანიაში 100%,

დირექტორი : ხაიალ ფირიევი, პ/ნ:12001005007,

კომპანიის იურ. მისამართი: საქართველო, გარდაბნის რაიონი, ს.ყარაჯალარი, 25-ე. ქ#5

კომპანიის ფაქტიური მისამართი: საქართველო, გარდაბანი, კრწანისი.

კომპანიის ფუნქციონირების სფეროს წარმოადგენს: სანტექნიკის აქსესუარების, სამშენებლო და სარემონტო მასალების საბითუმო და საცალო ვაჭრობას, რეალიზაცია ხორციელდება როგორც საწყობიდან, ასევე დისტრიბუციის წესით, პირდაპირი მიწოდების გზით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა მსს ფასის გამოყენებით, წინა პერიოდების გადახედვა და ცვლილების მომზადება განხორციელდა მსს ფასით, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდი კალენდარული წელია, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები ("სუპერფინი"), რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.



ბ. ფირიევი

ფული და ფულის ეკვივალენტები, სავალუტო რისკი

ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ფუნქციონირების და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

საწარმო სავაჭრო ურთიერთობისას მომწოდებლებთან, მყიდველებთან, თანამშრომლებთან და სხვა ფულადი ანგარიშსწორებისას, იყენებს როგორც ნაღდ, სალარო აპარატების მეშვეობით, ისე უნაღდო საბანკო ანგარიშებზე გადახდის მეთოდს.

უცხოურ მომწოდებელ და სატრანსპორტო კომპანიებთან ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორებას ინვოისში მითითებული ვალუტით სს საქართველოს ბანკის მეშვეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილებების რისკი. რადგან კომპანიის მარაგებით მომარაგება ხორციელდება უცხოეთიდან იმპორტის გზით უცხოურ ვალუტაში, წინასწარ ავანსის სახით გადარიცხვით, ყოველთვის განიცდის ცვალებადი კურსის მიერ მიყენებულ ზარალს.

უცხოური ვალუტის გაანგარიშება:

გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო: 1 დოლარი - 3.2766 აშშ ლარი; 1 ევრო - 4.0233 ლარი;

გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო: 1 დოლარი - 3.0976 აშშ ლარი; 1 ევრო - 3.5040 ლარი;

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. (რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები). სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეძენა ხორციელდება, როგორც იმპორტით, ასევე ადგილობრივი მომწოდებლებისგანაც. მარაგების მეტი წილი მოდის იმპორტის გზით შეძენილი სხვადასხვა ქვეყნებიდან მ.შ. ჩინეთი, თურქეთი, უკრაინა.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.



მ. ვაშაძე

ცალკეული მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა: მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი, მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები, (კალკულატორი, მადულარა და სხვ.) თავდაპირველად აისახება მარაგებში, გამოყენების შემდგომ ჩამოიწერება შესაბამის ხარჯებში შესაბამის პერიოდში. კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კარტრიჯი, და სხვ) შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს. მასალები რომელიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისთვის, ძირითადი საშუალების შესაკეთებლად: საჭირო სათადარიგო ნაწილები, ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები: შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნაყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟის და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალება აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც შეიძლება მისი გამოყენება, ანუ აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია იმ მდგომარეობაში რომ შესაძლებელი იყოს მისი ექსპლუატაცია. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მაშინ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება: გაყიდვის/ გასვლის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გამოყენებიდან და გაყიდვიდან ეკონომიური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალება აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ ძირითადი საშუალების, რომელიც გამოყენებულია პროდუქციის წარმოებისთვის.

კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, ვინაიდან იგი ასახავს ამ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიური სარგებლის გამოყენების ხასიათს.

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა

წელი

მოწყობილობები და დანადგარები

10-15

სატრანსპორტო საშუალებები

7-10

სხვა ძირითადი საშუალებები

3-5



ა. ფაშაძე

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორცაა: კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი; სავარაუდო ფიზიკური ცვეთა; ტექნიკური და ფიზიკური მოძველება.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა. უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით.

არამატერიალური აქტივები:

არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შეძენილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს, აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის.

არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 5-10 წელით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივი ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება, სათანადო ადგილას სამუშაო მდგომარეობაში.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

კომპანიის დაარსების დღიდან 2021 წლის ჩათვლით დამფუძნებლების შეცვალა, წილის გასხვისება და კაპიტალის მუხლებში ცვლილება არ მომხდარა.

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ზორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ დაფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად



მ. ვაშაძე

დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი და ხარჯები

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლების აღიარება ხდება, მაშინ როდესაც კომპანიას აქვს სამართლიანი საფუძველი შემოსავლის ასაღიარებლად. საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები, შემოსავლის აღიარება ზორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო: დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები: კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგება ზარალში როდესაც იგი გაწეულ იქნა.

მოგება-ზარალი

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას.

მოგების გადასახადი: საქართველოს კომპანიების წლიური მოგება (გარდა ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიების) 2017 წლის 01 იანვრიდან არ იბეგრება. ამ ცვლილებამ განაპირობა რომ საქართველოში



Handwritten signature in blue ink.

რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობა: გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. (სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო დასაბეგრი მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადს შორის სხვაობა). კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

მოგება-ზარალის აღიარება ხორციელდება საანგარიშგებო წლის ბოლოს შემოსავლებისა და ხარჯების გადახურვის გზით.

საანგარიშო პერიოდში მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაცია არ წარმოქმნილა.

საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება არგააჩნია

პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.



Handwritten signature in blue ink.

3. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2021წ
ფული სალაროში (ლარი)	1669	225
ეროვნული ვალუტა რეზიდ. ბანკში	30422	109592
უცხოური ვალუტა რეზიდ. ბანკში	131186	176
სულ:	163277	109 993

4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2020	31.12.2021წ
საქონელი	2 235 227	2 473 345
სხვა მარაგები	13 739	0
სულ:	2 248 966	2 473 345

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2021წ
სავაჭრო მოთხოვნები	542 874	283 914
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	35 391	0
სულ:	578 265	283 914

6-7 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ფულადი ერთეული - ლარი

	31.12.2021		31.12.2020	
	ღირებ.	ცვეთა	ღირებ.	ცვეთა
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7 982		1586	
ოფისის აღჭურვილობა,	3 136		508	
მანქანა-დანადგარი	0			



ქ. ვაშაძე

კომპიუტ. ტექნიკა და პერიფ. მოწყობ.	9 171		3450	
სხვა ავტოტრანსპორტი	46 773		32370	
სხვა ინვენტარი	15 986		15800	
ავჯის ცვეთა		0		
მანქანა-დანადგარების ცვეთა		0		
ოფისის აღჭრბის ცვეთა,		0		
კომპიუტ. ტექნ. და პერიფ. მოწყობ. ცვეთა		137		
მსუბუქი ავტომობილების ცვეთა		12 556		15675
სხვა ინვენტარის ცვეთა		2 792		5023
პროგრამული უზრუნველყოფა	6 684		2183	
პროგრამული უზრუნ. ამორტ.იზაცია		0		
სულ ჯამი:	89732	15485	55897	20698

8. სასესხო ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2021წ
გრძელვადიანი სესხი (ფიზიკური პირისგან)	929 244	878 479
სულ:	929 244	878 479

9. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს, საანგარიშგებო წელს გაცემული დივიდენდი შეადგენს 371 517, წინა წლებში დივიდენდის გამოცხადება და გაცემა არ მომხდარა.

10. საერთო მოგება

	2020	2021 წ
საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	2,623,463	3 712 548
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1,599,694	2 360 729
საერთო მოგება	1,023,769	1 351 819



მ. ჯაფარიძე

11. სულ ჯამური საოპერაციო ხარჯები:

	2020 წ	2021 წ
საიჯარო ქირა	79	23
მანქანის იჯარა	430	000
	17	
	000	
შრომის ანაზღაურება	203 940	326 459
საპროცენტო ხარჯი	101936	45
კომუნიკაციის ხარჯი		070
დაზღვევა		
საპენსიო		
ცვეთა და ამორტიზაცია	6,585	5 532
საგადასახადო ხარჯი		
მივლინების ხარჯი		
ბანკის მომსახურების საკომისიო		
კომუნალური ხარჯი		
საწვავის ხარჯი		
სხვა საერთო ხარჯი	884	96
		90
		019
სულ:	505 775	490 080

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ გარემოების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ვითარების შედეგად, კომპანია გარკვეული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, კომპანიამ მალევე აღადგინა საქმიანობა საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომ.

აღნიშული მოვლენების შედეგად, 2020 წელს კომპანიას დროებით შეჩერებული ჰქონდა საოპერაციო საქმიანობა, რამაც ფინანსური ზიანი განიცადა, მიუხედავად აღნიშული ნეგატიური ფაქტორისა, მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილიარ ჰქონია სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.



Handwritten signature in blue ink.